საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N432 2024 წლის 27 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „უსასრულო ენერგიას“ შორის „იმერეთი 1“ ქარის ელექტროსადგურის განხორციელების ხელშეკრულების თაობაზე განსახორციელებელი რიგი ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „იმერეთი 1“ ქარის ელექტროსადგურის პროექტის კონცეფციის მოწონებისა და თანმდევი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 ნოემბრის №2468 განკარგულება და „საქართველოს მთავრობასა და შპს „უსასრულო ენერგიას“ შორის „იმერეთი-1“ ელექტროსადგურის შესახებ 2015 წლის 16 ნოემბერს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის №1725 განკარგულება.

2. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, შპს „უსასრულო ენერგიის“ (კერძო ინიციატორი) საინიციატივო შეთავაზების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ „იმერეთი 1“

ქარის ელექტროსადგურის პოტენციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტად იდენტიფიცირების თაობაზე.

3. მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ პოტენციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტად იდენტიფიცირებული „იმერეთი 1“ ქარის ელექტროსადგურის პროექტის კონცეფცია.

4. მოწონებულ იქნეს შპს „უსასრულო ენერგიის“ მიერ განხორციელებული სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა.

5. მოწონებულ იქნეს ინფორმაცია საქართველოს მთავრობასა და შპს „უსასრულო ენერგიას“ შორის პირდაპირი მოლაპარაკების გზით შერჩევის წესით წარმართვის მიზანშეწონილობის შესახებ.

6. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „უსასრულო ენერგიას“ შორის დასადები „იმერეთი 1“ ქარის ელექტროსადგურის განხორციელების ხელშეკრულება.

7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალოს სამშენებლო ფაზის თაობაზე განხორციელების ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა.

8. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულებით გათვალისწინებულ განხორციელების ხელშეკრულებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე